ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №4834598

ნომერი: AR1728495

თარიღი : 14.01.2020

გაცემის თარიღი : 24.01.2020

გაცნობის თარიღი : 29.01.2020

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , აეროპორტი , ნაკვეთი 01/128; ქალაქი თბილისი , აეროპორტის მიმდებარე ტერიტორია; ქალაქი თბილისი, ქვემო ალექსეევკის II ქუჩა; ქალაქი თბილისი , აეროპორტი , ნაკვეთი 01/128; ქალაქი თბილისი , აეროპორტი , მიმდებარე ტერიტორია (ნაკვ. 001/035); ქალაქი თბილისი, აეროპორტის მიმდებარე ტერიტორია; ქ. თბილისი აეროპორტის მიმდებარე ტერიტორია; ქალაქი თბილისი , ქვემო ალექსეევკა;

დამკვეთი-განმცხადებელი

- გოჩა მეზვრიშვილი პ/ნ 01028000222
- თბილისი აეროპორტის დას. კორ. 44 ბ. 10

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 16

ივლისის № 4559501 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2020 წლის 14 იანვარს №AR1728495 განცხადებით მომართა გოჩა მეზვრიშვილმა და მოითხოვა სამსახურის 2019 წლის 16 ივლისის № 4559501 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება საკადასტრო კოდის მითითების ნაწილში.

სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2019 წლის 16 ივლისის № 4559501 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში, აეროპორტი, ნაკვეთი 01/128; ქალაქ თბილისში, აეროპორტის მიმდებარე ტერიტორია; ქალაქ თბილისში, ქვემო ალექსეევკის II ქუჩა; ქალაქ თბილისში, აეროპორტი ნაკვეთი 01/128; ქალაქ თბილისში, აეროპორტის მიმდებარე ტერიტორიაზე (ნაკვ: 001/035), ქალაქ თბილისში, აეროპორტის მიმდებარე ტერიტორიაზე, ქალაქ თბილისში ქვემო ალექსევკას ქუჩაზე კერძო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (ს/კ: №01.19.30.001.243, №01.19.30.001.240, №01.19.30.001.270, № 01.19.30.001.244, №01.19.30.001.035, №01.19.30.001.273, №01.19.30.001.276, №01.19.30.001.275) ვიზუალური სანავიგაციო საშუალებების კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2019 წლის 16 ივლისიდან 2019 წლის 16 ოქტომბრის ჩათვლით.

წინამდებარე განცხადებით განმცხადებელი ითხოვს სამსახურის 2019 წლის 16 ივლისის № 4559501 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორებას, კერძოდ, განამრტავს რომ აღნიშნულ ბრძანებაში საკადასტრო კოდი: №01.19.30.001.035 ნაცვლად ორჯერ არის დაფიქსირებული საკადასტრო კოდი: №01.19.30.001.273, შესაბამისად ითხოვს აღნიშნულის შესწორებას.

საპროექტო დოკუმენტაციის გადამოწმების შედეგად დადგენილ იქნა, რომ სამსახურის 2019 წლის 16 ივლისის № 4559501 ბრძანებით, განმცხადებლის მოთხოვნის შესაბამისად არქიტექტურული პროექტი შეთანხმებულია და მშენებლობის ნებართვა გაცემულია №01.19.30.001.243, №01.19.30.001.240, №01.19.30.001.270, № 01.19.30.001.244, №01.19.30.001.035, №01.19.30.001.273, №01.19.30.001.276, №01.19.30.001.275 საკადასტრო კოდებით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთებზე, თუმცა ტექნიკური შეცდომის შედეგად №01.19.30.001.035 საკადასტრო კოდის ნაცვლად ორჯერ არის დაფიქსირებული №01.19.30.001.273 საკადასტრო კოდი.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ადმინისტრაციულ აქტში გაასწოროს ტექნიკური შეცდომა.

შესაბამისად, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია განმცხადებლის მოთხოვნის დაკმაყოფილება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 16 ივლისის №4559501 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:

1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 16 ივლისის №4559501 ბრძანებაში და ბრძანების სარეზოლუციო ნაწილის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: ,,1. შეთანხმდეს ქ. თბილისში, აეროპორტი, ნაკვეთი 01/128; ქალაქ თბილისში, აეროპორტის მიმდებარე ტერიტორია; ქალაქ თბილისში, ქვემო ალექსეევკის II ქუჩა; ქალაქ თბილისში, აეროპორტი ნაკვეთი 01/128; ქალაქ თბილისში, აეროპორტის მიმდებარე ტერიტორიაზე (ნაკვ: 001/035), ქალაქ თბილისში, აეროპორტის მიმდებარე ტერიტორიაზე, ქალაქ თბილისში ქვემო ალექსევკას ქუჩაზე კერძო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (ს/კ: №01.19.30.001.243, №01.19.30.001.240, №01.19.30.001.270, №01.19.30.001.244, №01.19.30.001.035, №01.19.30.001.273, №01.19.30.001.276, №01.19.30.001.275) ვიზუალური სანავიგაციო საშუალებების კორექტირებული არქიტექტურული პროექტი.''
2. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 16 ივლისის №4559501 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
3. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 16 ივლისის № 4559501 ბრძანებასთან ერთად.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან, (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ჭ. შარტავას 7

ტელ. [+995 32] 272 22 22
ფაქს. [+995 32] 237 82 24
Info@tas.ge
უფრო მეტი - tas.ge